Press Release – Press Release – Press Release – Press Release – Press Release

16 ივლისი 2020

ADAMI ახალ სპეციალურ კონკურსს აცხადებს:

“ახალი ამბები კულტურული მრავალფეროვნების საკითხებზე COVID 19-ის დროს”

ADAMI მედია პრიზი აღმოსავლეთ ევროპაში კულტურული მრავალფეროვნებისთვის 2020 წლის კონკურსის ბოლო ვადა ამოიწურა. თუმცა, COVID-19-ის გლობალური პანდემიის პერიოდში კულტურული მრავალფეროვნების საკითხებზე შექმნილი საუკეთესო ახალი ამბის ან მოკლე ვიდეოსთვის წელს ADAMI დამატებითკონკურსს ჩაატარებს.

2020 წელს COVID-19 მთავარ თემად იქცა მედიაში და ახალი გამოწვევების წინაშე დაყენა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ჟურნალისტები. პანდემიამ ეთნიკური დაძაბულობების გამწვავებას მისცა ხელი. მოხდა უმცირესობებისა და მიგრანტების სტიგმატიზება, მათთვის ვირუსის გავრცელების დაბრალება. ბევრი ადამიანი, რომელიც შორეულ ადგილებში ცხოვრობს ან ენის ბარიერი აქვს, ინფორმაციის სიმწირემაც დაზარალა.

ADAMI მედია პრიზი გამოთქვამს სურვილს წარმოაჩინოს გლობალური კრიზისის ჟამს გამოვლენილი საუკეთესო ჟურნალისტური საქმიანობა და დაჯილდოვოს ახალი ამბების რეპორტაჟი ან სხვა სახის მოკლე ვიდეო, რომელიც COVID-19-ისა და კულტურული მრავალფეროვნების, ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების, ასევე მიგრაციის თემებს ეხება.

ჟურნალისტებს, კინორეჟისორებს, მწარმოებელ კომპანიებსა და მაუწყებლებს შესაძლებლობა ეძლევათ შემოიტანონ განაცხადი მასალზე, რომლის **ხანგრძლივობა არაღემატება 5 წუთს**!

კონკურსი იწყება 16 ივლისს, ხოლო განაცხადების შემოტანის **ბოლო ვადა 2020 წლის 31 ივლისია!** განაცხადის შესატანად გთხოვთ, ეწვიეთ ვებ-საიტს: www.adamimediaprize.eu/special-prize-2020

გთხოვთ, გაითვალისწინეთ: ADAMI მედია პრიზის კონკურსის აპლიკანტებს ასევე ეძლევათ შესაძლებლობა მოიგონ **სტიპენდიები** ცნობილ დასავლეთევროპულ მაუწყებლების ახალ ამბების წარმოებაში პრაქტიკის გასავლელ დ. სტიპენდიით დაჯილდოვებულები ოთხ კვირას გაატარებენ დიდ დასავლეთევროპულ მედიაორგანიზაციების ახალ ამბების განყოფილებებში. ყველა ხარჯი ანაზღაურებული იქნება.

ADAMI Media Prize კულტურული მრავალფეროვნებისთვის ყველზე მასშტაბური პლატფორმაა ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის

ექვს ქვეყანაში ინტეგრაციის, ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების საკითხების გარშემო მედიის ნეტვორკინგისთვის. მაუწყებლებს, რეჟისორებსა და ჟურნალისტებს ყოველწლიურად ეძლევათ შესაძლებლობა საუკეთესო ნამუშევრები წარადგინონ ADAMI Media Prize პრესტიჟულ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად. ჯილდოები გაიცემა ექვს კატეგორიაში: გართობის ინდუსტრია /მხატვრული ფილმები, დოკუმენტური ფილმები, ახალი ამბები/მოკლემეტრაჟიანი არამხატვრული ფილმები, სტუდენტური ნამუშევრები, ვებსაიტები და ონლაინ ვიდეო.

საკონტაქტო პირი:
ნელი მჟავანაძე
coordinator@adamimediaprize.eu
+995 595 474 477

The ADAMI Media Prize is funded by

Federal Foreign Office

CIVIL SOCIETY COOPERATION

ADAMI Activities 2020 are supported by

EaP Eastern Partnership

ADAMI Award Ceremonies are held under the auspices of the Secretary General of the Council of Europe, Ms Marija Pejčinović Burić, and under the patronage of the OSCE Representative on Freedom of the Media:

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

OSCE